"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_____ ს. ტეფნაძე
14 07 2025
დადგენილება № 2025/06

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

პროფესიული სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2
2 ცვლილებები 3
2.1 ცვლილებების ისტორია 3
3 მოქმედი გვერდების სია 4
4 დოკუმენტაციის კონტროლი 4
4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 4
5 მეთოდოლოგიის მიზანი და გამოყენების არეალი 5
6 პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები 6
7 სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები 8
8 სტუდენტთა საერთო კონტინგენტი 9
9 სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი 9
10 მეთოდოლოგიის დამტკიცების, ცვლილების ან/და დამატებების შეტანის წესი 10

2 ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

3 მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ივლისი 2025					
1	2	0	ივლისი 2025					
2	3	0	ივლისი 2025					
3-4	4	0	ივლისი 2025					
5	5	0	ივლისი 2025					
6	6	0	ივლისი 2025					
6	7	0	ივლისი 2025					
7	8	0	ივლისი 2025					
8-9	9	0	ივლისი 2025					
10	10	0	ივლისი 2025					

4 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	**ფორმატი**	**ასლის ნომერი**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5 მეთოდოლოგიის მიზანი და გამოყენების არეალი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (შემდგომში მეთოდოლოგია) მიზანია დაეხმაროს უნივერსიტეტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა და პროფესიული მომზადება/გადამზადების მსმენელთა ზღვრული რაოდენობების სწორად განსაზღვრაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მდგრადობა და მათი ეფექტური განხორციელება.

2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება:

- პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს;
- პროფესიული განათლებასთან დაკავშირებულ საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს;
- უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ აქტებს;

6 პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი (ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული მასწავლებელი, მოწვეული ინსტრუქტორი);

1.2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელშიც შედის:

- A სასწავლო გარემო, თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე. სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა თეორიული მეცადინეობის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

  ა) ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;

  ბ) კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

  პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამები ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ან C გარემოში. A სასწავლო გარემო ცვლებში სწავლების შემთხვევაში არ არის დატვირთული სრულად, შესაბამისად გათვლისას მხედველობაში მიიღება გარემოს სრული დატვირთვა.

- B სასწავლო გარემო, კომპიუტერული ლაბორატორია.

  B სასწავლო გარემო გაითვლება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საერთო რაოდენობაზე ისე, რომ ყველა პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა შეძლოს პროგრამით/სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე ინდივიდუალურ კომპიუტერთან მუშაობა;

- C სასწავლო გარემო, პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას.

  C სასწავლო გარემოში სტუდენტების/მსმენელების რაოდენობის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება: ყოველ პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობა და სასწავლო გარემოს ფართი. ასევე, კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

1.3 პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები;

კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა იმ მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს/პარტნიორ საწარმო(ებ)ს შეუძლია მიიღოს.

1.4 სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება:

- პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა/მსმენელთა გადანაწილების შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე პერსონალის რაოდენობა;

- ბიბლიოთეკის რესურსი;
- საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები);
- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის, პროგრამისთვის საჭირო საბიბლიოთეკო სივრცისა და ფონდის გამდიდრების, დამატებითი კომპიუტერული კლასების შექმნის ან/და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფის, ასევე, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი დამატებითი აუდიტორიების/გარემოს გამოყოფის, პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოვების შესაძლებლობები.

7 სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები

1. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებია:
   1.1. ადამიანური რესურსი:
      1.1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით უნდა იყოს არანაკლებ 1/20-ს.
      1.1.2. ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა კონტინგენტთან მიმართებით უნდა იყოს არანაკლებ 1/20-ს.
   1.2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:
      მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს: სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში ან/და ავტორიზაციის ვადით სარგებლობაში ქონას მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე; ასევე საბიბლიოთეკო რესურსების, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასაუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას. კერძოდ: კომპიუტერულ ლაბორატორიებში და ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა - პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის 1/25

2. პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამის/მოდულის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი სასწავლო გარემო ერთად. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე სასწავლო გარემო გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე შეუფერხებლად მუშაობა. თუ ერთი და იგივე რესურსი გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის, კონტინგენტის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა პროგრამა იზიარებს საერთო პრაქტიკის ბაზას, უნდა ჩანდეს ამ ბაზის გამოყენების მექანიზმი პროგრამების მიზნებისათვის;

3. პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (პროგრამითა და მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო ფართი, კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, სპორტული, შემოქმედებითი, თუ სხვა არასააუდიტორო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეები) უნდა იძლეოდეს სწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

4. დასაშვებია სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. კერძოდ: მოდულის განხორციელებისათვის საჭირო A, B, C გარემოში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, თითოეულ A, B, C

გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

5. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული;

6. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე გასანაწილებელი პროფესიული სტუდენტებისათვის;

8 სტუდენტთა საერთო კონტინგენტი

1. ამ მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის საბჭო, პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე ადგენს სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საერთო ზღვრული რაოდენობა გაიანგარიშება კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ავტორიზაციის შედეგად დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ჯამით.

3. სტუდენტთა საერთო კონტინგენტი მიიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობების ჯამისა და მისი არანაკლებ 20%-ის შეკრების შედეგად.

9 სტუდენტთა მისაღები კონტინგენტი

1. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ყოველწლიური რაოდენობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დადგენილი ზღვრული რაოდენობები.

2. სტუდენტთა განთესვის (მობილობით გადმოსვლა, გადასვლა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა) მაჩვენებელი - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა განთესვის საუნივერსიტეტო მაჩვენებელთან შედარების საფუძველზე მისაღები კონტინგენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ამ მეთოდოლოგიის მე-3 მუხლის შესაბამისად.

3. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ავტორიზაციის საბჭოს მიერ შესაბამისი პროგრამის ფარგლებში დადგენილ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშების მიზნით, პროფესიულ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება პროგრამაზე მიღების გამოცხადების დროისთვის ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებულ სხვაობას ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შესაბამისად.

5. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პირთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრისას სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტები არ განიხილება პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

6. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის აღდგენის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებისას, პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა

გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის კოლეჯის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

7. მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულება, ასახავს შესაბამის განაცხადში და წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს

10 მეთოდოლოგიის დამტკიცების, ცვლილების ან/და დამატებების შეტანის წესი

1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება, ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინების საფუძველზე.